ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის
2021 წლის 20 აპრილის ოქმი N2

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ტაბაღუა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის პირველი მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

ლევან კავთიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ნინო ნიკოლავა - მერიის აპარატის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ეკა პაპუაშვილი - არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქავთარაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით იშხნელი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გიორგი ტუხაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ **ირაკლი ტაბაღუამ**

ირაკლი ტაბაღუა: დღეს ვიხილავთ 5 აპრილამდე დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპების მიერ შემოტანილი პროგრამების 3 თვის ანგარიშს, რომლის გაანალიზების შემდგომ უნდა მოხდეს პროგრამებსა თუ ქვეპროგრამებში არსებული რესურსების ჩატრიალება მეორე კვარტლის განმავლობაში.

ლევანი კავთიაშვილი: მოგახსენებთ, რომ 3 თვის ანგარიშის თაობაზე ინფორმაციები შემოვიდა 5 აპრილამდე ვადების დაცვით, თუმცა ორი იურიდიული პირის გარდა ყველა შემოსული შესრულება იყო დახარვეზებული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, ვინაიდან შესრულების ფორმების შევსებისას დაშვებული იყო შეცდომები.

გრიგოლ ვეფხვაძე: მინდა მივმართო ანგარიშვალდებული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს, როგორც წინა სხდომაზე ქალაქის მერმა აღნიშნა ბიუჯეტირების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ანგარიშების დროული და სწორი წარდგენაა საფინანსო სამსახურისთვის. მე დღეს არ გამოვყოფ არცერთ ორგანიზაციას, რომელმაც ეს ვერ შეძლო, მხოლოდ ვახსენებ „ბაღებს“ და „რუსთავის კორპუსს“ როგორც გამორჩეულებს. თუმცა შემდეგი განხილვისას ყველა ორგანიზაციის მიმართ ვიქნები უფრო მომთხოვნი, რადგან თითოეული თქვენგანზეა დამოკიდებული მიიღებს თუ არა ქალაქი დამატებით თანხებს მომავალი წლისთვის.

ლევანი კავთიაშვილი: რაც შეეხება საბიუჯეტო პარამეტრების 3 თვის შესრულებას, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 2021 წლის ბიუჯეტში:

- შემოსავლების სახით მობილიზებულია 8 778,7 ათ. ლარი, რაც 3 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის 63 პროცენტია, მათ შორის: გადასახადების სახით მობილიზებულია 6 450,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 60 პროცენტია, გრანტების სახით მობილიზებულია 1 065,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 51 პროცენტია, სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1 262,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 121 პროცენტია, არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 388,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 389 პროცენტია;
- გადასახდელების საკასო მაჩვენებელმა 65% შეადგინა, მათ შორის: საერთო დანიშნულების მომსახურება დაფინანსდა გეგმის - 74%, თავდაცვა - 48%, ეკონომიკურ საქმიანობა - 63%, გარემოს დაცვაზე - 59%, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე - 45%, განათლება, დასვენება, კულტურასა და რელიგიაზე - 78% და ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე - 66%.

გრიგოლ ვეფხვაძე: სამუშაო რეჟიმში განხილვისას, რიგ შემთხვევაში, გამოიკვეთა სატენდერო პროცედურების პრობლემები. ერთი, რაც ჩვენზე არ იყო დამოკიდებული - კონსოლიდირებული ტენდერების პრობლემა და მეორე ჩვენთან არსებული ხარვეზები. ვთვლი, რომ სამსახურებმა დროულად უნდა მოამზადონ გამართული სატენდერო დოკუმენტაცია და დაიწყონ პროცედურები, რაც სამწუხაროდ რიგ შემთხვევაში ვერ გაკეთდა. ჩემის აზრით არის ობიექტური მიზეზებიც, რომლებსაც ორგანიზაცია ან სამსახური ვერ გაართმევს თავს დამოუკიდებლად და ამ დროს ვფიქრობ საკითხები დროულად უნდა მივიტანოთ ხელმძღვანელობასთან, რომელიც იპოვის შესაბამისი გადაჭრის გზებს. მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა

დაახლოებით 25% ვერ იქნა დაკონტრაქტებული პირველივე კვარტალში, მიუხედავად სატენდერო პროცედურების გასულ წელს დაწყებისა.

ლევანი კავთიაშვილი: მიმდინარე წლის ბიუჯეტის კვარტალური დაყოფა განხორციელდა თითოეული პროგრამის განმახორციელებელი სამსახურისა თუ ორგანიზაციის მიერ, სადაც რა თქმა უნდა ჩართული იყო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. მოგეხსენებათ, რომ ბოლო 3 წელიწადში რუსთავის ბიუჯეტი თითქმის 25-30 პროცენტით გაიზარდა, ასევე პროგრამული მეთოდოლოგიის მიხედვით პროგრამების შესრულების კონტროლი მოითხოვს დამატებითი ფორმების გადამოწმებას, რაც ხშირ შემთხვევებში არსებული კონტიგნტისათვის დროში გახანგრძლივებულის მიზეზი ხდება.

გრიგოლ ვეფხვაძე: ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია პროგრამებით გათვალისწინებული თანხების კვარტალური დაყოფა. ამაში, მესმის, შესაძლებელია საფინანსო სამსახურმა მოგცეთ რეკომენდაციები, მაგრამ ორგანიზაციებმა თავად, კარგად უნდა გაიაზრონ პროგრამების სპეციფიკა, ვადები, შესყიდვების, ან/და მომართვიანობის პროცედურები და ამის მიხედვით გადაანაწილონ თანხები კვარტლების მიხედვით, რაც რიგ შემთხვევაში ითხოვს მეტ სიზუსტეს. ასევე გადაულახავი და ობექტური მიზეზების არსებობისას, მერიასთან შეთანხმებით, მოახდინონ გეგმების დროული კორექტირება.

ირაკლი ტაბაღუა: შემაჯამებლად მინდა მოვუწოდო ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ აქ წარმოთქმული შენიშვნები, რეკომენდაციები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაგეგმვის, შესრულების და ანგარიშგების საკითხებს.

გრიგოლ ვეფხვაძე: მინდა მივმართო ქალაქის მერს, შეძლებისდაგვარად დააჩქაროს შესაბამის სამსახურებში, ვაკანტურ ადგილებზე, თანამშრომლების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები.

მადლობას ვუხდი დღევანდელი სხდომის ყველა მონაწილეს და იმედს ვიტოვებ შემდეგ განხილვაზე ხარვეზები აღარ გვექნება ან იქნება გაცილებით ნაკლები.

ირაკლი ტაბაღუა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის პირველი მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

ლევან კავთიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ნინო ნიკოლავა - მერიის აპარატის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ეკა პაპუაშვილი - არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქავთარაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით იშხნელი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გიორგი ტუხაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი